# ზოგიერთი თეორიული მოსაზრება „ზომიერი ადამიანი“ შესახებ

*ვახტანგ დათაშვილი - სტუ-ს პროფესორი*
*რაისა ხაჩატურიანი - სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის პროფესორი*

ზომიერება რომ სათნოებაა და სიხარბე ადამიანების მანკიერება - ეს საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ სხვა საქმეა მათი ღრმად გააზრება, გაგება და, რაც მთავარია, ცხოვრებაში ზომიერების პროინციპის დაცვა. კარგად როცა დავფიქრდებით, მივხვდებით, რომ ეს შეიძლება მხოლოდ მეცნიერული ცოდნის საფუძველზე. დღემდე ზომიერების შესახებ სპეციალური გამოკვლევა, რამდენად ჩვენთვის ცნობილია, არ არსებობს. ამჟამად უკვე გამოჩნდა კიდეც წიგნი, სადაც თეორიის დონეზე, ფილოსოფიური ხედვის საფუველზეა განხილული ზომიერების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები. მართალია, მისი მორალურ-ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური საკითხები არ წარმოადგენს ავტორის კვლევის მიზანს, მაგრამ ისინიც საჭიროებისამებრ არის წამოწეული.

ზომიერების, როგორც თვით გიორგი მალაშხია უწოდებს, ეკონომოლოგიური (ეს ცნებაც. ვფიქრობთ, მეცნიერებაში ახლადაა შემოტანილი ავტორის მიერ) კონცეფცია შემდეგი ძირითადი ასპექტებითაა წარმოდგენილი: 1. ზომიერების ცნების ორიგინალური მეცნიერული განმარტება; 2. ზომიერების დარღვევის მიზეზები; 3. ზომიერების დარღვევის ეკონომიკური და სოციალური შედეგები ინდივიდებსა და საზოგადოებისთვის, მთელი კაცობრიობისთვის; 4. ზომიერების დაცვის სიკეთე; 5. ზომიერების დანერგვის გარანტიები.

ავტორი ამ საკითხებს არკვევს მთელი საკაცობრიო გამოცდილების, ცოდნის, მეცნიერული აზრის, ხალხის ემპირიული ცნობიერების, რელიგიათა დოქტრინებისა და საკუთარი კვლევა - ძიების საფუძველზე.

ზომიერება განხილულია როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სათნოება. იგი ესადაგება ეკონომიკურ ფასეულობებს (სიმდიდრეს, შემოსავალს, დოვლათს, ასევე სოციალურ, პოლიტიკურ ობიექტებს - ძალაუფლებას, გავლენას, სამხედრო პოტენციალს და სხვ.). ამასთან, ავტორის აზრით, ის არ შეიძლება მივუყენოთ ისეთ საკაცობრიო ფასეულობებსა და ანტიფასეულობებს, როგორიცაა: სამართლიანობა, თავისუფლება, ზნეობა, მშვენიერება, ბოროტება, სიმახინჯე და ა.შ. ზომიერება წარმოდგენილია ფართო ხედვით, ადამიანთა გონივრული, ჯანსაღი მოთხოვნილებების (განსხვავებით საბაზრო მოთხოვნისაგან) დაკმაყოფილების ასპექტით. ავტორის განმარტებით, ზომიერებაა ის, რაც ადამიანთა და მთელი საზოგადოების გონივრული მოთხოვნლების ფარგლებშია მოქცეული. ხოლო ყოველივე, რაც ამ ფარგლებს აღემატება, არის ზედმეტობა, ხოლო რაც ვერ აღწევს ამ ფარგლებს, არის უკმარობა. ეს ორივე კი არის გადახრა ნორმისაგან, საზიანო ინდივიდებისა და საზოგადოებისთვის.

ავტორი უღრმვდება საკითხს, თუ რატომ არღვევენ ადამიანები ზომიერების პრინციპს, მაშინ როცა ზომიერება არის სიკეთე, სასარგებლო რამ. აქ საქმე ვაქვს იმასთან, რაც ხშირად გვხვდება საზოგადოების ცხოვრების სხვა მოვლენებთან მიმართებით. ჯერ ერთი, ადამიანებს მეტწილად საკმაოდ ღრმად არა აქვთ გაცნობიერებული ზომიერების აზრი და სიკეთე, სიხარბის, ანგარების უკეთურობა. მეორე, ზომიერების დაცვა ყოველთვის არ ემთხვევა ცალკეულ ინდივიდთა ინტერესებს, მისწრაფებებს სიმდიდრისკენ, ძალაუფ-ლებისკენ და სხვ., რაც მათ ფასეულობით სკალაში უპირატეს ადგილს იკავებს ზომიერებსასთან შედარებით. ინდივიდთა ფასეულობითი სკალა ხშირად არაა ჭეშმარიტი, სწორი, ობიეტური, დამახინჯებულია, განსაკუთრებით მათი, ვინც მენტალიტეტით მიდრეკილია ზედმეტი სიმდიდრისაკენ, ძალაუფლებისაკენ და ა.შ. ავტორმა აქ წამოსწია თეორიული საკითხი ადამიანთა რაციონალურობის შესახებ. ის არ იზიარებს ეკონომიკურ თეორიაში დამკვიდრებულ მოსაზრებას, რომ ადამიანები საერთოდ რაციონალურები არიან, მათთვის სასარგებლო სწორ გადაწყვეტილებს იღებენ. საკმარისი არგუმენტებით დასაბუთებულია, რომ ადამიანებს ბევრ რამეში მოსდით შეცდომები, ისინი ხშირად იქცევიან თავისი და სხვების საზიანოდ. ავტორის მტკიცებით, ზუსტი ანალიზის შემდეგ ვრწმუნდებით, რომ ეს გადახრა დიდ ადგილს იკავებს ადამიანთა ცხოვრებაში და შესაბამისად გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე.

ასევე მნიშვნელოვანია მომხმარებლის სუვერენიტეტის გარშემო ავტორის ახალი თეორიული დებულება. ის თვლის, რომ არასწორია

მსჯელობა მომხმარებლის ყოველგვარი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზანშეწონილობის შესახებ თითქოსდა ადამიანის უფლებების დაცვის მოტივით (ეს მხოლოდ საბაზრო იდეოლოგიასა და ინტერესებს შეესაბამება). მრავალი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, როგორც ელემენტარული პრაქტიკიდან ირკვევა, საზიანოა ადამიანებისთვის. ამიტომ უნდა იყოს მსჯელობა მხოლოდ ადამიანთა ჯანსაღი, გონივრული მთხოვნილებების დაკმაყოფილების შესახებ, რაც შეესაბამება მათ ინტერესებს და მათი სუვერენიტეტის სწორად გაგებას.

ზომიერების დარღვევის შედეგები გიორგი მალაშხიას მიერ განხილულია სამ დროით - წარსულის, დღევანდელობისა და მომავლის განზომილებაში. ნაჩვენებია, რომ საზოგადოების ეკონომიკური პოტენციალის გადიდების, მოხმარების, დოვლათის, სიმდიდრის ზრდის კვალობაზე ზომიერების დარღვევის მასშტაბებიც იზრდება და უფრო სწრაფადაც. ზომიერების დარღვევა დიდ ბოროტებად წარმოგვიდგება სხვადასხვა ასპექტით. უწინარესად გარკვეულია მისი გავლენა ადამიანსა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულებაზე, ეკოლოგიური საფრთხის და კაცობრიობის არსებობის ბუნებრივი საფუძვლის განადგურების, ამდენად მისი მოსპობის მიზეზის სახით. არასწორად მიაჩნია ავტორს, რომ ეკოლოგიურ საფრთხეს, ბუნების დაცვის აუცილებლობას ნაკლებად უკავშირებენ ზომიერების პრინციპის უხეშ დარღვევებს, რასაც მასობრივად აქვს ადგილი და რაც სულ უფრო ფართოვდება.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გიორგი მალაშხიას ნაშრომში სოციუმის ფარგლებში, ადამიანთა ურთიერთობებში, ეკონომიკაში უშუალოდ ზომიერებისა და სიხარბის საკითხებს. აქ ზომიერება უკავშირდება ადამიანთა და ისტორიის მანკიერებებს - უსამართლობას, ზნეობრივ ხარვეზებს. ამასთან მიმართებით ავტორი აყალიბებს რიგ თეორიულ დებულებებს. განსაკუთრებით მნიშვნეოვანია, ჩვენი აზრით, მისი კონცეპტი ზედმეტი, ზომიერზე გადაჭარბებით მოხმარებული თუ დაგროვილი სიმდიდრის მიერ სარგებლობის პოტენციალის დაკარგვის, ინდივიდებისათვის და საზოგადო-ებისთვის დანაკარგად გადაქცევის შესახებ. ეს ზედმეტი არ გადადის სოციალურ სიკეთეში, არ მოაქვს რა მას სარგებლობა, რადგან ჯანსაღი მიზნით, გომივრულად გამოყენებული არაა, იქცევა ფუჭ სინდიდრედ. ასეთი სიმდიდრე დიდი რაოდენობით არსებობდა და არსებობს. იგი შეიძლება ვიპოვოთ ცალკეული ინდივიდების თუ საზოგადოების ხელში. ეს იწვევს საზოგადოების საერთო კეთილდღეობის დანაკარგს. ეს დანაკარგი დღეისავის მსოფლიოში კოლოსალურია, მიახლოებითი შეფასებით, თითქმის მთელი სიმდიდრის მესამედს შეადგენს. ასეთი შეფარდებით ზედმეტის არსებობა, მეორე მხრივ, იწვევს დიდძალ უკმარობას საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის, მკვეთრ, ყოველგვარ ზომას გადაჭარბებულ უთანაბრობას საზოგადოებაში ქონებისა და შემოსავლების მიხედვით. ავტორის დასკვნით, საბოლოოდ ზომიერების დარღვევა, ფართო გაგებით, უნდა განვიხილოთ როგორც ზნეობრივი მანკიერება და უსამართლობის მიზეზი.

აღნიშნულიდან, ავტორის მიხედვით, გამომდინარეობს თანამედროვე საზოგადოებისათვის არსებობს ზომიერების პრინციპის დაცვის კატეგორი-ული აუცილებლობა. ავტორი ამ პრინციპს წარმოგვიდგენს კაცობრიობის გადარჩენის, ცხოვრების ჰუმანიზაციის პირობის რანგში. ამასთან მიუთითებს, რომ იგი არაა ძვირადღირებული სიკეთე, საჭიროა მხოლოდ ამ პრინციპის გაცნობიერება ყველას მიერ და მისი დაცვა. ეს თავისთავად გულისხმობს ადამიანთა მაღალ ცნობიერებას, შეგნებულობას, სწორ ფასეულობით ორიენტაციას, მენტალიტეტის ცვლილებას. ყოველივე ეს სავსებით შესაძლებლია.

ავტორი ხაზს უსვამს, რომ ყოველივე ეს არ უნდა გავიგო გონივრული მოხმარების შეზღუდვად, ასკეტიზმის ქადაგებად. მსჯელობა ეხება უაზრო, ინდიდვიდთა გარკვეული ნაწილის ზედმეტ მისწრაფებებს მატერიალური დოვლათისადმი, მომხმარებლურ დამოკიდებულებას ცხოვრებისადმი და მის უარყოფით შედეგებს, საერთო კეთილდღეობის შეფერხების ერთ-ერთ მიზეზს.

ამრიგად, გიორგი მალაშხიას წიგნის სახით საქმე გვაქვს უმნიშვნელოვანესი საკაცობრიო პრობლემის მეცნიერულ-ფილოსოფიურ გააზრებასთან და მისი გადაწყვეტის გზების ძიებასთან. ნაშრომი გამოირჩევა ფუნდამენტური თეორიული სიახლეებით, დასკვნებით და განზოგადებებით ეკონომკური და სოციალური ცხოვრების ირგვლივ, რომელთაც აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. ვფიქრობთ, ეს ნაშრომი დააინტერესებს ნებისმიერ მკითხველს, რომლისთვის მნიშვნელოვანია საერთო კეთილდღეობა, საზოგადოების მომავალი. ვფიქრობთ, რომ სასურველია ამ პრობლემის განხილვაში ჩაებას რაც შეიძლება მეტი ადამიანი.